

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 14

ქ.ვანი თავისუფლების N65

7 აგვისტო 2018 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადგიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე**. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის თაობაზე“.

/მომხს: ზვიად კაპანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/მომხს: ზვიად კაპანაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მამუკა ნამიჭიშვილი/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის თაობაზე“ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლების გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალური საკუთრების 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.227) იჯარით 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე.

2. ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით.

კომისიის წევრების მხრიდან დაისვა კითხვა, რომ ვინ არის დაინტერესებული პირი აღნიშნული ნაკვეთის შეძენისთვის?

მომხსენებელი პასუხობს: დაინტერესებული პირი არის მირზა ბელთაძე.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 500 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.20.227) იჯარით, 10 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენას.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N 65 - ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე მერიის შენობის (ს/კ 31.01.26.068) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 44,547 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემას.

მოხსენის :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულების პირველ მუხლში და მას დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

„ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლების შუაგორა-ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“.

„ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულების დანართი N1-ს დაემატოს ამ განკარგულების დანართში მოცემული საპროექტო წინადადება.

დანართი თან ერთვის.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N4/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე